

# რატომ მალავს მთავრობა “ინტერ რაო-ეესთან” გაფორმებულ მემურანდუმს

“ჭორები სასიკეთო არავისთვის, მათ შორის არც ჩვენი  
მთავრობისთვის არ არის”

გაზეთი “კვირის რეზონანსი” – 25-31 იანვარი, № 017, 2009

“ენგურპესთან” დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსული კომპანია “ინტერ რაო-ეეს”-ის მიერ დადგებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ავტორიანობაზე და იმავე მემორანდუმზე “ინტერ რაო-ეეს”-ის მხრიდან უარის თქმის შემდეგ სტრატეგიული მნიშვნლობის ობიექტზე შექმნილ ვითარებაზე “ინტერპესნიუსი” ეკონომიკის ექსპერტ ლადო პაპავას ესაუბრა.

– მას შემდეგ, რაც “ინტერ რაო”-ს თავჯდომარე ევგენი ლოდმა “ინტერ რაო”-სა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადგებული ურთიერთგაგების მემორანდუმი მალადაკარგულად გამოაცხადა, რა ვითარება მივიღეთ “ენგურპესთან” დაკავშირებით?

ლადო პაპავა: მემორანდუმი არ არის ხელშეკრულება: “ენგურპესთან” დაკავშირებით მთავარი და აუცილებელი, რაც საქართველოს მთავრობამ უნდა გააკეთოს, მემორანდუმის ტექსტის გამოქვეყნებაა. ვინაიდან ამ მემორანდუმმა საზოგადოებაში დიდი გნებათაღელვა გამოიწვია, ის ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2004 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავრობას უნდოდა “ენგურპესის” პრივატიზაციის განხორციელება. “რაო ეეს”-მა, სანამ ის დაიშლებოდა, გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო “ენგურპესის” პოტენციური მყიდველი. მაშინ საქართველოს მთავრობას ამის გაკეთება არ დასცალდა და პრაქტიკულად, ამ ობიექტის პრივატიზაცია არ მოხდა.

რუსეთსა და საქართველოს შორის გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ რომ ”ენგურჰესის” თემამ კვლავ წამოიწია, თავიდანვე გასაკვირი იყო. თუ ეს მხოლოდ მემურანდუმია და არ არის ხელშეკრულება და მას სამართლებრივი ძალა არ აქვს, ამას სჭირდება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ძალიან მარტივი რამ – დოკუმენტის გამოქვეყნება.

ახლა, როცა ამ საკითხზე ბევრი მოარული ჭორია, მემორანდუმის გაუქმების შემდეგ ხელისუფლების სიმართლეს უველა დაიჯერებდა. ჭორები სასიკეთო არავისთვის, მათ შორის არც ჩვენი მთავრობისთვის არ არის, ამიტომ საჭიროა, პირველ რიგში ხელისუფლებამ ამ დოკუმენტის გამოქვეყნებაზე იზრუნოს.

– ოკუპანტ ქვეყნასთან მნიშვნელოვან ობიექტთან დაკავშირებით ქართული მხარის მიერ მოლაპარაკების დაწყებისას და შემდეგ მემორანდუნის გაფორმების თავად ფაქტორს როგორ შეაფასებდით?

**ლ.ა.:** პოლიტიკური თვალსაზით ეს, რა თქმა უნდა, მცდარი ნაბიჯია. თუ ამდენი ხანი ჩვენ მიღიონებს ვკარგავდით ომის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებული ელექტროენერგიის დირებულებას არავინ იხდიდა, რაღა ახლა გახდა ეს მიღიონები ასეთი მნიშვნელოვანი, მაშინ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის ანექსია განახორციელა და საერთოდ, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკუდებლობა ცნო?

მეტ-ნაკლებად კიდევ მისაღები იქნებოდა, თუ ქართული მხარე დადგებდა შეთანხმებას აფხაზეთის ენერგოკომპანიასთან, აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდასთან დაკავშირებოთ, მაგრამ ამაში რუსული კომპანიის მონაწილეობა აბსოლუტურად გაუგებარი და პოლიტიკურად გაუმართდებელი იყო. მე მაინც ვფიქრობ, რომ მთავრობამ მემორანდუმის ტექსტი უნდა გამოაქვეყნოს, რომ ”ემგურჰესთან” დაკავშირებით მის მიმართ არსებული კითხვები მინიმუმამდე დაიყვანოს.

– თბილისს ”ენგურჰესის შემდგომ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით სოხუმთან კონტაქტი მოსკოვის გვერდის ავლით, ანუ პირდაპირ რომ დაემყარებნა, ეს ქვეყნისთვის უფრო ნაკლებად საზიანო იქნებოდა?

**ლ.პ.:** ყოველ შემთხვევაში ქართულ მხარეს ურთიერთობა უნდა დაემყაებინა არა სამინისტროების, არამედ ენერგეტიკული კომპანიების დონეზე. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა წმინდა ეკონომიკური შეთანხმება. “ინტერ რაო”-სთან მემორანდუმი ენერგეტიკის სამინისტრომ შეიმუშავა, სამიონისტრო კი, მოგეხსენებათ, პოლიტიკური ორგანოა.

“ენგურპესის” საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა სწორედ ისაა, რომ მემორანდუმი უშუალოდ რუსულ მხარესთან და არა აფხაზურთან გაფორმდა. თუ ეს მილიონები ამდენ ხანს იკარგებოდა, ჯანდაბას, ახლაც დაკარგულიყო.

– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამის შემდეგ “ემგურპესის” როგორც ენერგოკომპანიის რეგისტრაცია სოხუმში მოხდება და შემდეგ “ინტერ რაო” შეთანხმებას აფხაზურ მხარესთან გააფორმებს.

**ლ.პ.:** ამის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ უნდა ვიცოდეთ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და “ინტერ რაოს” შორის გაფორმებულ მემორანდუმში და მერე შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, თუ რისი გაპეთება შუძლიათ “ენგურპესთან” დაკავშირებით თბილისის გარეშე მოსკოვსა და სოხუმს.

**“ინტერპესნიუსი”**